ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 4989/01
17/05/2019

4989-01-2-201905171104

შპს „ნიუ კოქსის" დირექტორს

ბატონ პეტრე სარდანაძეს

მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ბახტრიონის ქ. №9 ბინა № 25

ბატონო პეტრე,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 8 აპრილის №5213 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვედა საქარაში ქვანახშირის დაკოქსვის საამქროს მოწყობა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- ქვანახშირის დაკოქსვის ტექნოლოგიური სქემა და თითოეული ეტაპი;
- კოქსის მიღების საბოლოო ეტაპის ტექნოლოგიური აღწერა;
- საწარმოო პროცესში გამოყენებული ნედლეულის-ქვანახშირის ტრანსპორტირების, დასაწყობების და შეძენის საკითხები;
- ნარჩენების შემდგომი მართვის ღონისძიებები;
- საწარმოო პროცესში-ტემპერატურული რეჟიმის მისაღებად გამოყენებული საწვავის შესახებ ინფორმაცია;
- ტექნოლოგიურ პროცესში წყლის გამოყენების შესახებ ინფორმაცია (რაოდენობა, ტექნიკური გადაწყვეტა);
- სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები;
- ვინაიდან საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ არსებობს ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი საწარმოები, საჭიროა ინფორმაცია კუმულაციური ზემოქმედების შესახებ;

აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენამდე სამინისტრო აჩერებს სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე